მარტი 2018 №5

ქართული ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ – ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

„ჩვენი მიზანია - სამხედრო განათლების, სამხედრო წვრთნებისა და სწავლების ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფით, საერთაშორისო პროექტების, განსაკუთრებით SNGP-სა და GDRP-ს სინქრონიზებით, საერთაშორისო მისიებში მიღებული გამოცდილებით, ეროვნული თავდაცვითი რესურსების მობილიზებით (ტოტალური თავდაცვა), ადეკვატური დაფინანსებით, ნატოსთან თავსებადი აღჭურვილობა/შეიარაღებით და საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებით, საქართველოს თავდაცვითი მზადყოფნის გაძლიერება და ქართული შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის გაზრდა“.

ლევან იზორია

თავდაცვის მინისტრის ანგარიში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში

გვ.2

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ქვეყნის ნატოში ინტეგრაციისთვის განხორციელებული რეფორმები და სამომავლო გეგმები - ეს ის მთავარი საკითხები იყო, რომლებზეც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშში გაამახვილა ყურადღება.

რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფცია

გვ.3

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფცია შეიმუშავა. კონცეფცია ტოტალურ თავდაცვაში საქართველოს მოქალაქეების ფართო ჩართულობასა და სამობილიზაციო რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას გულისხმობს.

ოჯახი სამშობლოს სამსახურში

გვ.11

ქართული ჯავშანქილეტები და ჩაფხუტები ქართული ჯარისთვის

სსსტც „დელტა“ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის ჯავშანჟილეტებსა და ჯავშანჩაფხუტებს ამზადებს. პროდუქციის ტექნიკური მონაცემები საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნებზეა მორგებული.

გვ.9

ვემსახურებით საქართველოს!

გვ.10

თავდაცვის მინისტრის ანგარიში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ქვეყნის ნატოში ინტეგრაციისთვის განხორციელებული რეფორმები და სამომავლო გეგმები - ეს ის მთავარი საკითხები იყო, რომლებზეც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე წარდგენილ ანგარიშში გაამახვილა ყურადღება. უწყების ხელმძღვანელმა საუბარი რეფორმების ძირითადი მიზნის - ძლიერი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე დაიწყო: **„ჩვენ გვსურს, რომ მშვიდობიან პროცესში შეიარაღებული ძალები იყოს მძლავრი შემაკავებელი ფაქტორი აგრესიის და ასევე ომის შემთხვევაში გვქონდეს უნარი, რომ უზრუნველვყოთ მოწინააღმდეგის შეყოვნება, მივაყენოთ მას რაც შეიძლება ჭარბი ზიანი და შევაჩეროთ მისი აგრესია“**, - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

სამხედრო განათლება, წვრთნები და სწავლებები, საერთაშორისო პროექტები, საერთაშორისო მისიები, ტოტალური თავდაცვის კონცეფცია, ნატოსთან თავსებადი აღჭურვილობა და შეიარაღება, ადეკვატური დაფინანსება და საერთაშორისო თანამშრომლობა - ეს ის შვიდი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც თავდაცვის მინისტრმა შეიარაღებული ძალების მზადყოფნის, მდგრადობისა და ნატოსთან მაქსიმალური თავსებადობის უზრუნველყოფისთვის დაასახელა.

თავდაცვის მინისტრმა დეპუტატებს ის კონცეპტუალური დოკუმენტები გააცნო, რომლებიც უწყებამ, აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად შეიმუშავა - „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი“ „თეთრი წიგნი“ და „მინისტრის დირექტივები 2018“, რომლებშიც თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები მკაფიოდ არის გაწერილი. ლევან იზორიამ ყურადღება „ეროვნული თავდაცვის გეგმის“ დოკუმენტზე გაამახვილა, სადაც გაწერილია, თუ როგორ მოქმედებს შეიარაღებული ძალები ომის შემთხვევაში და როგორ ხდება სხვა უწყებებთან კოორდინაცია.

საკომიტეტო მოსმენაზე თავდაცვის მინისტრმა ვაზიანში საბრძოლო მომზადების ცენტრის შექმნის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განმარტა, რომ მშენებლობას 18 მილიონი ლარი მოხმარდება, რაც მეტწილად ოპტიმიზაციის შედეგად დაზოგილი თანხაა. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საბრძოლო მომზადების ცენტრში 9 ქვეით ბატალიონს შესაძლებლობა ექნება სამი წლის განმავლობაში, სამთვიანი მომზადების კურსი ამერიკელ პარტნიორებთან ერთად გაიაროს. ლევან იზორიამ აღნიშნულ ფაქტს ისტორიული უწოდა და განმარტა, რომ სწავლებები საქართველოს ტერიტორიული თავდაცვის ამოცანებთან იქნება დაკავშირებული. რაც შეეხება აღჭურვილობას, ცხრა სამანევრო ბატალიონი ნატოს სტანდარტების შესაბამის აღჭურვილობას მიიღებს. თავდაცვის მინისტრმა ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება, საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის მხარდაჭერასა და ორმხრივი თანამშრომლობის უპრეცედენტოდ მზარდ დინამიკაზე გაამახვილა.

ლევან იზორიას განცხადებით, აშშ-მა 2017 და 2018 წელს, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, დაახლოებით 117 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყო, რაც მთლიანობაში, 1997 წლიდან 2017 წლამდე გამოყოფილი ფინანსური დახმარების თითქმის ნახევარია.

საკომიტეტო მოსმენაზე თავდაცვის მინისტრმა მნიშვნელოვანი სიახლე გააჟღერა, რომელიც მრავალეროვნული სწავლება „მტკიცე სულის“ (Agile Spirit) ფარგლებში, საზღვაო კომპონენტის შემოღების შესაძლებლობას ეხება. ასევე, საუბარი შეეხო ნატოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს - შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების გაძლიერებას და ამ პროცესში საქართველოს მაქსიმალური ჩართულობის მნიშვნელობას.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტისატანკო და ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღება. ლევან იზორიას განცხადებით, ჯაველინების შესყიდვის მნიშვნელოვანი პროექტის გარდა, საქართველო მზად არის, ფრანგული პროექტის ფარგლებში, ანტისაჰაერო სისტემის ელემენტების მეორე ფაზის იმპლემენტაცია გააგრძელოს. საკომიტეტო მოსმენაზე, თავდაცვის მინისტრმა ავიაციის განვითარების მიმართულებით არსებულ პოლიტიკაზე გაამახვილა ყურადღება. ავიაციის განვითარება უწყების ერთ-ერთი პრიორიტეტია, რისთვისაც 23 მილიონი ლარი გამოიყო.

მინისტრმა აქცენტი ადეკვატურ დაფინანსებაზეც გააკეთა და განმარტა, რომ თუ 2015 წელს შეიარაღებისთვის, თავდაცვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 4%, ეს მაჩვენებელი 2018 წელს 20.9%-ს შეადგენს, რითაც უწყებამ ნატოს სტანდარტი დააკმაყოფილა. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა ბიუჯეტიდან სახელფასო და სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობაც - თუ 2015 წელს პერსონალზე დახარჯული თანხები შეადგენდა 66-%-ს, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 53%-მდე შემცირდა. მინისტრის განცხადებით, საქართველო ასრულებს ნატოს ყველა ძირითად მოთხოვნას სამხედრო დანახარჯებთან დაკავშირებით - თავდაცვაზე ხარჯავს მშპ-ს 2%-ს, ხოლო აქედან 20%-ს აღჭურვილობაზე.

შეიარაღებული ძალების კიდევ უფრო გაძლიერებისთვის, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების პარალელურად, უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ფართო ჩართულობა ქვეყნის დაცვის საქმეში. ამ მიმართულებით თავდაცვის მინისტრმა აქცენტი ტოტალური თავდაცვის კონცეფციაზე გააკეთა, რომელშიც სამხედრო კომპონენტთან ერთად, სამოქალაქო, ეკონომიკური, საინფორმაციო და პოლიტიკური თავდაცვის კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მინისტრის განცხადებით, სწავლება „დიდგორი 2018“, ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ელემენტების განხორციელებით დაიგეგმება, რაც უწყებათაშორის თანამშრომლობას, თვითმმართველობის თემების გააქტიურებას, საზოგადოების ჩართულობასა და მათი ცნობიერების ამაღლებას მოიცავს. ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ფარგლებში, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, წვევამდელთა სისტემის აღდგენის გარდა, მინისტრმა უმნიშვნელოვანეს მიღწევად ახალი რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის ამოქმედება დაასახელა.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტზე, მინისტრმა დეპუტატებს, სოციალური მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები გააცნო. ლევან იზორიას განცხადებით, უწყებამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულა და 2017 წელს ბინა 275 სამხედრო მოსამსახურეს გადასცა. ასევე, დაგეგმილია ახალი, მნიშვნელოვანი პროექტები - ქუთაისში ახალი სამხედრო ჰოსპიტალის მშენებლობისთვის კონკრეტული თანხა უკვე გამოყოფილია.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ყველა აღნიშნული პროექტი, რომელიც პარტნიორების დახმარებით ხორციელდება, უწყებაში მიმდინარე რეფორმების აღიარებაა. **„თავდაცვის სამინისტრო რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ნატოს სტანდარტებს“**, - განაცხადა ლევან იზორიამ.

რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფცია

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფცია შეიმუშავა. კონცეფცია ტოტალურ თავდაცვაში საქართველოს მოქალაქეების ფართო ჩართულობასა და სამობილიზაციო რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფცია ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით შეიქმნა.

„ეს არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი, რათა ქვეყანაში ტოტალური თავდაცვის კონცეფცია განვახორციელოთ, რომელიც ქვეყნის თავდაცვის საქმეში საზოგადოების ფართო ჩართულობას და არა მხოლოდ სამხედრო კომპონენტს გულისხმობს“, - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა კონცეფციის წარდგენისას.

პარლამენტის მიერ დამტკიცებული, სამხედრო ძალების რეზერვის შესახებ კანონის თანახმად აქტიური და სამობილიზაციო რეზერვი შეიქმნება. აქტიური სარეზერვო სამსახური სამ ნაწილად დაიყოფა: შეიარაღებული ძალების რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი და სპეციალისტთა რეზერვი. კონცეფციის მიხედვით, აქტიური სარეზერვო სამსახური ნებაყოფლობითი იქნება. კონტრაქტი 5 წლამდე ვადით გაფორმდება. გაწვევის შემთხვევაში რეზერვისტს სამუშაო ადგილი და ხელფასი შეუნარჩუნდება. აქტიურ რეზერვში ჩარიცხული პირი ყოველთვიურ შრომით გასამრჯელოს მიიღებს, რომელიც მისი წოდებრივი სარგოს 20%-ია, ხოლო გამოძახებისა და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, შრომის ანაზღაურების სრული ოდენობა იქნება.

სამობილიზაციო რეზერვი, აქტიური რეზერვისგან განსხვავებით, სავალდებულოა და მისი მიზანი სამხედრო ძალების გაძლიერება და დანაკარგების შევსებაა. რეზერვისტი სარეზერვო სამსახურს წელიწადში არაუმეტეს 45 დღის განმავლობაში გაივლის. ეს პერიოდი, კი, მას სამხედრო სამსახურის წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება. გაიზრდება ასაკობრივი ზღვარიც - სამობილიზაციო რეზერვში 18-დან 60 წლამდე მოქალაქეები ჩაირიცხებიან.

რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კანონი შეიარაღებული ძალების მდგრადი თავდაცვის სისტემის განგრძობადობასა და უწყვეტობას უზრუნველყოფს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის განმარტებით, აქტიური რეზერვი სამხედრო მოსამსახურეებს განსაკუთრებულ შესაძლებლობებს სთავაზობს.

„აქტიური რეზერვის კომპონენტი კანონით მოქმედი სისტემისგან აბსოლუტურად განსხვავდება. კერძოდ, ეს იქნება ნებაყოფლობითი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კონტრაქტი გაფორმდება მათთან, ვინც კონტრაქტით ქართულ შეიარაღებულ ძალებში, ან სხვა შეიარაღებულ დანაყოფებში მსახურობდა. მათ, პრაქტიკულად, თავიანთი საქმიანობის გაგრძელების საშუალება ექნებათ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ორი ვადის კონტრაქტი ამოწურეს, რაც ერთგვარი დამატებითი მოტივაციაა. აღნიშნული კონცეფცია უზრუნველყოფს მთავარს - რეზერვი გახდეს შეიარაღებული ძალების მხარდამჭერი და მისი გამაძლიერებელი ელემენტი“, - განმარტავს ლევან იზორია.

ახალი კანონი მნიშვნელოვანი სიახლეა სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონული მართვის სისტემა, რომელიც სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვის, გაწვევის, გამოძახების, მომზადების, ტრანსპორტირებისა და მართვის პროცესებს მოიცავს.

„ჩვენ ჩამოვაყალიბებთ მართვის ერთიან, ელექტრონულ სისტემას, რათა მოხდეს პოტენციური რეზერვისტების აღრიცხვა, მათი გაწვევა, გამოძახება, ტრანსპორტირება და მომზადება. აქამდე ეს სისტემა არ არსებობდა, შესაბამისად, ჩვენ გამოვყოფთ თანხებს აღნიშნული სისტემის საპროგრამო უზრუნველყოფისთვის, რომელიც 2020 წელს დასრულდება. ეს მოგვცემს საფუძველს, მოვახდინოთ პოტენციური რეზერვისტების სისტემატიზაცია და კატეგორიზაცია, ასევე განვსაზღვროთ საჭიროება და ადგილმდებარეობა, სადაც ამ რესურსს გამოვიყენებთ“, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

სამხედრო ძალების რეზერვის შესახებ კანონთან დაკავშირებით ჩვენს კითხვებს, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, ეროვნული გვარდიის სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, გიორგი თავდგირიძე პასუხობს, რომელიც კონცეფციის შემუშავების პროცესში უშუალოდ იყო ჩართული.

- ბატონო გიორგი რას გულისხმობს რეზრეევისა და მობილიზაციის ახალი კონცეფცია და რითი განსხვავდება ის მოქმედისგან?

რეზერვის ძველი სისტემა არ ითვლისწინებს მოტივაციასა და ნებაყოფლობითობას და მთლიანად აგებული იყო ვალდებულების პრინციპზე, ხოლო ახალ სისტემაში მნიშვნელოვანია ადამიანის მოტივაცია და სურვილი ჩაერთოს ქვეყნის თავდაცვის საქმეში. ძველი კანონით აღრიცხვასა და გამოძახებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებდნენ, რაც არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებზე დაუყოვნებლივი რეაგირების შესაძლებლობას არ იძლეოდა. ახალ კანონში აქტიური რეზერვისტი გადის სამხედრო სამსახურს და წვრთნებს წელიწადში 45 დღემდე, 4-5 წლის განმავლობაში, მისთვის გამოყოფილ კონკრეტულ პოზიციაზე, კონკრეტულ სამხედრო ქვედანაყოფებთან ერთად. აქტიური რეზერვისტის გამოძახებას შესაბამისი სამხედრო ქვედანაყოფი უზრუნველყოფს, რომელშიც იგი ირიცხება. ახალი კონცეფციის მიხედვით, რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის ფუნქციონირება ეროვნული თავდაცვის გეგმის, სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმების საფუძველზე განხორციელდება. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით პროცესები თავდაცვის სამინისტრომ მართოს, რათა უწყების საჭიროებები სრულად იყოს გათვალისწინებული, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას აამაღლებს.

- ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, რეზერვის ახალ კონცეფციას აქვს რაიმე ტიპის ნაკლოვანებები?

თეორიულ დონეზე რეზერვის ახალი სისტემის ნაკლოვანებებზე ვერ ვისაუბრებ. ნაკლოვანებები შესაძლოა პრაქტიკულ საქმიანობაში გამოვლინდეს. სწორედ ამიტომ, რეზერვის კონცეფციის მიხედვით, 2017-2020 წლებში პროექტი იქნება საპილოტე, რის შემდეგაც მისი შედეგების შეჯამება და დაგეგმარების ახალი ეტაპი დაიწყება. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი განხორციელდეს არა სწრაფად და გაუაზრებლად, არამედ მოხდეს ყველა იმ ნაბიჯის გათვალისწინება, რაც მინიმუმადე დაიყვანს შეცდომებს და პროექტის წარმატებით განხორციელების საფუძველს შექმნის.

- ბატონო გიორგი რამდენად დათვლილია რეზერვის ამოქმედებისათვის საჭირო ფინანსები და რამდენი რეზერვისტის გაწვევაზეა საუბარი?

რეზერვისტების რაოდენობასა და ფინანსებს განსაზღვრავს თავდაცვის პოლიტიკა, და არა კონცეფცია. რეზერვის კონცეფციის მიხედვით დათვლილია 2017-2020 წლებში საპილოტე ციკლის ფარგლებში რეზერვისტთა რაოდენობა, ასევე გაწეული ფინანსური ხარჯი, რომელიც დაახლოებით 5.6 მილიონ ლარს შეადგენს. ამის შემდეგ დაგეგმილია საპილოტე პროექტების შედეგების შეჯამება და დაგეგმარების ახალი პროცესის დაწყება თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის 2021-2024 წლების ფარგლებში. თავდაცვის სამინისტროში არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით მოხდება საჭირო რაოდენობრივი გათვლები და განისაზღვრება რეზერვისტების საერთო რაოდენობა.

სარეზერვო სამსახურების მსოფლიო გამოცდილება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფცია საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნება და ყველა იმ პოზიტიურ კომპონენტს ითვალისწინებს, რაც სხვა ქვეყნებმა წარმატებით დანერგეს. მიუხედავად ამისა, რეზერვის ახალი კონფეცია არ წარმოადგენს რომელიმე ქვეყნის კონცეფციის ანალოგს. ის საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებზეა მორგებული.

სარეზერვო სამსახურების მსოფლიო გამოცდილების შესახებ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, ეროვნული გვარდიის სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, გიორგი თავდგირიძემ ინფორმაცია მოგვაწოდა

ევროპაში, რეგულარული არმიის შექმნასთან ერთად, რეზერვის, როგორც სამხედრო სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტის, ჩამოყალიბებისა და გამოყენების საფუძვლების შემუშავება დაიწყო. მე-19 საუკუნის ბოლოს რეზერვის გამოყენების პრაქტიკა იმ პრინციპებსა და მეთოდებს ეფუძნებოდა, რომლებიც გარკვეული ცვლილებებით დღესაც მოქმედებს.

რეზერვის საშუალებით პრაქტიკაში გატარდა პრინციპი **„მშვიდობიანობის დროს გონივრული მინიმუმი ყაზარმაში, ომის დროს აუცილებელი მაქსიმუმი ბრძოლის ველზე“**.

სამხედრო თეორიაში და პრაქტიკაში რეზერვს ორი ძირითადი დანიშნულება აქვს.

- ✓ შეიარაღებული ძალების გაძლიერება, რაც ომის შტატზე გადასვლასა და კადრირებული ქვედანაყოფების გაშლას გულისხმობს
- ✓ დანაკარგების შევსება.

რეზერვის გამოყენებით შესაძლებელია სახალხო ლაშქრის, მილიციური რაზმების, ტერიტორიული თავდაცვის, უცხოური მისიებისთვის სამხედრო დაჯგუფებების, საგანგებო ან კრიზისულ ვითარებაზე რეაგირების ჯგუფების, სპეციალისტთა რაზმებისა და სხვა მუდმივი თუ დროებითი ინსტიტუციების შექმნა და გამოყენება.

მაგალითად, ესტონეთი თავის თავდაცვის ძირითად ძალად მოხალისეობის პრინციპზე აგებულ „კაიცელიტს“ მოიაზრებს, რომელიც რეზერვით კომპლექტდება. „კაიცელიტს“ აქვს სამხედრო-ორგანიზაციული სტრუქტურა, ჰყავს სამხედრო ქვედანაყოფები და მომზადებული პერსონალი. „კაიცელიტის“ რეზერვისტების საბრძოლო მომზადება ხორციელდება დასვენების დღეებში ან ხანმოკლე საველე შეკრებებზე სამხედრო სწავლებების დროს.

საინტერესო მაგალითია პოლონეთი, რომელსაც 2016 წლამდე ტერიტორიული თავდაცვა ადგილობრივ პარამილიტარულ არასამთავრობო ორგანიზაციებით ჰქონდა აწყობილი. 2016 წლიდან პოლონეთმა შექმნა ტერიტორიული თავდაცვა - როგორც შეიარაღებული ძალების მეხუთე სახეობა. ტერიტორიული თავდაცვის სამხედრო ქვედანაყოფები დააკომპლექტა რეზერვისტებით და ამ ქვედანაყოფების გამოყენებას როგორც ტერიტორიული ასევე ექსტერიტორიული პრინციპით გეგმავს.

ავსტრია რეზერვს იყენებს როგორც შეიარაღებული ძალების გაძლიერებლად, ასევე ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზებისათვის, „ლანდშუცი“ ითვალისწინებს ტერიტორიული თავდაცვის სამხედრო ამოცანების შესრულებას და ეფუძნება რეზერვისტების ფართოდ გამოყენებას ტერიტორიული პრინციპით.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, შეიარაღებული ძალებისთვის ჰყავს სახეობების რეზერვი, რომლებიც კომპლექტდებიან უკვე მომზადებული და გამოცდილი სამხედრო მოსამსახურეებისგან. გარდა ამისა, ის პირები რომლებიც ხვდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოთხოვნების ქვეშ, დგებიან აღრიცხვაზე და თუ დასჭირდა ქვეყანას, მათ ვალდებულების წესით გამოიძახებენ. რეზერვის გამოყენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია აშშ-ის ეროვნული გვარდია, რომელიც გარდა ტერიტორიული თავდაცვის ამოცანებისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო სამხედრო კონფლიქტებში. ერაყის ორივე ომში, ამერიკის ეროვნული გვარდიის სამხედრო ქვედანაყოფები, მთელი კონტიგენტის 40-60 პროცენტს შეადგენდა. აშშ-ის ეროვნული გვარდია კომპლექტდება რეზერვისტებით, რომლებიც საბრძოლო მომზადებას თვის განმავლობაში ორი დღე გადიან (შაბათ-კვირა) და წელიწადში ორი კვირა (ხანგრძლივი საველე შეკრება). მნიშვნელოვანი საშედავათო ბენეფიტების გარდა, აქ სამსახური მიმზიდველია სახელფასო უზრუნველყოფის პრინციპის გამოც, რეზერვისტი სახლში ყოფნისას იღებს ხელფასის 55 %-ს, ხოლო ნაწილში ყოფნისას 100 %-ს.

გერმანიის სარეზერვო სისტემის შეფასება ეფუძნება ბუნდესვერის (გერმანიის შეიარაღებული ძალები) „რეზერვის კონცეფციას“.

რეზერვის დანიშნულებაა ბუნდესვერის პერსონალით გაძლიერება და შევსება; სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობის გაღრმავება; აგრეთვე სამშობლოს დაცვა და ბუნდესვერის მხარდაჭერა ამოცანათა მთელ სპექტრში.

გერმანია, ტერმინ რეზერვის ქვეშ მოიაზრებს პერსონალს, მატერიალურ საშუალებებს, ორგანიზაციასა და ინფრასტრუქტურას, რომელიც სამხედრო შესაძლებლობის ზრდის საშუალებას იძლევა.

გერმანელებს აქვთ რეზერვის სამი კატეგორია: **სამხედრო ძალების რეზერვი** (Truppenreserve), **ტერიტორიული რეზერვი და საყოველთაო რეზერვი** (die Allgemeine Reserve).

თითოეული კატეგორიის რეზერვში ერთიანდება რეზერვისტთა ორი მიმართულება: **გაძლიერების რეზერვი** (die verstarkungsreserve) და **პერსონალური რეზერვი** (die Personalreserve).

პირველი სახეობა განკუთვნილია სტრუქტურაზე მიბმულ თანამდებობების დასაკავებლად, ხოლო მეორე არსებული ან მოსალოდნელი დანაკარგების ან დეფიციტის შესავსებად.

მსოფლიო წამყვანი ქვეყნების მაგალითები აჩვენებს, რომ ომის დროს რეზერვიდან გამოძახებული პერსონალი ისევე წარმატებით ასრულებს თავის სამხედრო ფუნქციას, როგორც რეგულარული არმიის სამხედრო მოსამსახურე. რეზერვით დაკომპლექტებული ქვედანაყოფების შენახვა, მშვიდობიანობის დროს, საკადრო ქვედანაყოფების შენახვაზე 6-10-ჯერ უფრო იაფია.

რეზერვისტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო მისიებშიც. კადრის სამხედრო მოსამსახურეების გვერდით, რეზერვისტები ფართოდ არიან წარმოდგენილნი მსოფლიო ცხელ წერტილებშიც.

რეზერვისა და მობილიზაციის ახალ კონცეფციასთან დაკავშირებით მოქალაქეების კითხვებს თავდაცვის სამინისტრო პასუხობს

1. რატომ გახდა საჭირო რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფციის შემუშავება?

სამხედრო სარეზერვო სამსახური არის შეიარაღებული ძალების მდგრადობისა და სიძლიერის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი. ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში სრულფასოვანი სარეზერვო სამსახურის სისტემის შექმნის არაერთი მცდელობა იყო. როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ 2006 წელს მიღებული კანონი არაეფექტური აღმოჩნდა. სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფცია, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და ქართულ რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ მიდგომებს ითვალისწინებს. ახალი სისტემის მიზანია ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაძლიერება და მისი მხარდაჭერა.

2. რეზერვის ახალი პროექტი რა ტიპის სარეზერვო სამსახურს ითვალისწინებს?

რეზერვის ახალი პროექტით, სამხედრო სარეზერვო სამსახური ორ ძირითად სახედ იყოფა:

- ✓ სამობილიზაციო, ანუ სავალდებულო რეზერვი;
- ✓ აქტიური, ანუ ნებაყოფლობითი რეზერვი.

3. რას წარმოადგენს და როგორ დაკომპლექტდება სამობილიზაციო რეზერვი?

სამობილიზაციო რეზერვი სავალდებულოა, რომელიც საომარი ან საგანგებო ვითარების დროს ამოქმედდება. სამობილიზაციო რეზერვი დაკომპლექტდება 18-დან 60 წლამდე ასაკის მოქალაქეებით, რომლებმაც გაიარეს:

- ✓ საკონტრაქტო და კადრის სამხედრო სამსახური;
- ✓ სამხედრო სავალდებულო სამსახური;
- ✓ განთავისუფლდნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან და შეუსრულდათ 27 წელი;
- ✓ შეუსრულდათ 18 წელი და გამოთქვეს სურვილი ჩაირიცხონ სამობილიზაციო რეზერვში;
- ✓ ქალბატონები, რომლებსაც აქვთ სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობა.

სამობილიზაციო რეზერვის ძირითადი ფუნქციაა ომის დროს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა და შევსება.

4. რას წარმოადგენს აქტიური რეზერვი?

აქტიური რეზერვი, სამობილიზაციო რეზერვისგან განსხვავებით, არის ნებაყოფლობითი, ანაზღაურებადი და იყოფა სამ ძირითად მიმართულებად:

- ✓ შეიარაღებული ძალების რეზერვი;
- ✓ ტერიტორიული რეზერვი;
- ✓ სპეციალისტთა რეზერვი.

5. რას მოიცავს აქტიური რეზერვის მიმართულება – შეიარაღებული ძალების რეზერვი?

შეიარაღებული ძალების რეზერვის ძირითადი ფუნქცია სამხედრო ქვედანაყოფების გაძლიერება და შევსებაა. შეიარაღებული ძალების რეზერვში გაიწვევენ 18-დან 65 წლამდე ასაკის მოქალაქეებს, რომლებმაც:

- ✓ მოიხადეს სამხედრო სავალდებულო სამსახური;
- ✓ დაასრულეს საკონტრაქტო სამხედრო სამსახური;
- ✓ დაასრულეს კადრის სამხედრო სამსახური;
- ✓ შეუსრულდათ 27 წელი და არ აქვთ მოხდილი სამხედრო-სავალდებულო სამსახური;
- ✓ ქალები და ვაჟები 18 წლიდან, საკუთარი სურვილით;

შეიარაღებული ძალების რეზერვში ჩარიცხულ პირებთან გაფორმდება 5-წლიანი კონტრაქტი, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.
რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფციის მიხედვით, შეიარაღებული ძალების რეზერვისტი მომზადებას გაივლის წელიწადში არა უმეტეს 45 დღისა, მისთვის განსაზღვრულ პოზიციაზე, კონკრეტულ სამხედრო ქვედანაყოფთან ერთად.

შეიარაღებული ძალების რეზერვისტის მომზადების დონე სრულ თავსებადობაში იქნება კონკრეტული ქვედანაყოფის მომზადების დონესთან, რადგან შეიარაღებული ძალების რეზერვისტს, საჭიროების შემთხვევაში, მოუწევს ზუსტად იმავე ფუნქციების შესრულება, რაც აღნიშნული ქვედანაყოფის სხვა მებრძოლებს.

6. რას მოიცავს აქტიური რეზერვის მიმართულება – ტერიტორიული რეზერვი?

ტერიტორიული რეზერვი შედის შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში. ტერიტორიული რეზერვისტი გადის ზუსტად იმ სახის მომზადებას, რასაც საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე, შედარებით შემჭიდროებულ ვადებში და მაღალი ინტენსივობით. ტერიტორიულ რეზერვში მოქალაქეთა შერჩევისას, უპირატესობა მიენიჭებათ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, მოქალაქეებს, რომლებმაც გაიარეს სამხედრო სავალდებულო სამსახური და სტუდენტებს. ამ ტიპის რეზერვის ფორმირება და გამოყენება მოხდება მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე. ტერიტორიულ რეზერვში ჩაირიცხებიან საქართველოს მოქალაქეები რომლებმაც:

- ✓ მოიხადეს სამხედრო სავალდებულო სამსახური;
- ✓ დაასრულეს საკონტრაქტო სამხედრო სამსახური;
- ✓ დაასრულეს კადრის სამხედრო სამსახური;
- ✓ შეუსრულდათ 27 წელი და არ აქვთ მოხდილი სამხედრო -სავალდებულო სამსახური;
- ✓ ქალები და ვაჟები 18 წლიდან, საკუთარი სურვილით.

ტერიტორიული რეზერვში ჩარიცხვის შემთხვევაში, მოქალაქეს გაუფორმდება, ასევე, 5 წლიანი კონტრაქტი 60 წლამდე გაგრძელების უფლებით.

7. რას მოიცავს აქტიური რეზერვის მიმართულება – სპეციალისტთა რეზერვი?

სპეციალისტთა რეზერვი წარმოადგენს აქტიური რეზერვის ერთ-ერთ სახეს და ყალიბდება სამხედრო ძალების სპეციფიკური და დეფიციტური მოთხოვნებისა და ამოცანების გადასაჭრელად.

რეზერვის შესახებ ახალი კონცეფცია შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეს, საკუთარი უნარებით ემსახუროს სამშობლოს, მათ შორის არასამხედრო სპეციალობითაც.

მაგალითად, კავშირგაბმულობის ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი შეიძლება ჩაირიცხოს სპეციალისტთა რეზერვში, მიიღოს ახალი ცოდნა, გამოცდილება და ანაზღაურება.

8. როგორ ხდება სამობილიზაციო (სავალდებულო) და აქტიურ (ნებაყოფლობით) რეზერვში ჩარიცხული პირთა ანაზღაურება?

- ✓ სამობილიზაციო რეზერვი არ ითვალისწინებს რეზერვისტის სახელფასო უზრუნველყოფას.
- ✓ აქტიურ რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტი წელიწადში 45 დღიანი სასწავლო შეკრების განმავლობაში, მიიღებს წოდებრივი სარგოს 100%-ს, ხოლო წლის დანარჩენ თვეებში - წოდებრივი სარგოს 20%-ს. გარდა ამისა, ის სარგებლობს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო სოციალური გარანტიებით.

9. რა ფორმით მოხდება რეზერვისტების აღრიცხვა, გამოძახება და მათი გადანაწილება?

რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფციის მნიშვნელოვანი სიახლეა სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონული მართვის სისტემა, რომელიც სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვის, გაწვევის, გამოძახების, მომზადების, ტრანსპორტირებისა და მართვის პროცესებს მოიცავს, რაც გაზრდის სამობილიზაციო რეზერვის ოპტიმალური გადანაწილება-გამოყენების, ასევე ქვედანაყოფების გაძლიერებისა და დანაკარგების უწყვეტი შევსების შესაძლებლობებს.

შეუარაღებული ძალების საჭიროებები განსაზღვრავს ამ თუ იმ მომენტში რამდენი ტანკისტი, მეტყვიამფრქვევე ან სხვა პროფესიის ადამიანია საჭირო. ერთიან ელექტრონულ ბაზაში იფუნქციონირებს ქულობრივი სისტემა და საჭიროებით განსაზღვრული მოქალაქეების გამოძახება მოხდება ქულათა სისტემით. ქულები ამა თუ იმ მოქალაქის გამოცდილებას, პროფესიონალიზმსა და შესაძლებლობებს განსაზღვრავს.

აქტიურ სარეზერვო სამსახურში მყოფი პირების გამოძახებას უზრუნველყოფს ის ქვედანაყოფი, რომელშიც ირიცხება აქტიური რეზერვისტი. გამოძახება შესაძლებელია ტექნიკური ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებითაც განხორციელდეს.

10. როდის ამოქმედდება რეზერვის ახალი სისტემა?

აღნიშნული კანონპროექტი პირველ რიგში უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. ამის შემდეგ პროექტი განხორციელდება საპილოტე რეჟიმში. რეზერვში გაწვევის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდისა და Facebook-ის გვერდიის საშუალებით.

11. ნებაყოფლობით ან სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვის შემთხვევაში, შეუნარჩუნდება თუ არა მოქალაქეს სამუშაო ადგილი?

სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოძახების პერიოდში, რეზერვისტს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და შრომის ანაზღაურება, მიუხედავად დაწესებულების ორგანიზაციულ-სამმართლებრივი ფორმისა.

12. როგორ მოქმედებს რეზერვი საგანგებო სიტუაციების დროს და როგორ ხდება რეზერვისტთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა?

რეზერვისა და მობილიზაციის შესახებ ახალი კონცეფციის თანახმად, სამობილიზაციო რეზერვში გაწვევას დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება, ხოლო შერჩევის კრიტერიუმებს ადგენს მინისტრის ნორმატიული აქტი.

13. სარეზერვო სამსახურის მოხდის შემთხვევაში, ნამსახურები წლები ჩაითვლება თუ არა საერთო შრომის სტაჟში და რეზერვისტს მიენიჭება თუ არა სამხედრო მოსამსახურის სტატუსი?

სამხედრო სარეზერვო სამსახურის პერიოდად (შრომის სტაჟი) ითვლება:

- აქტიური სარეზერვო სამსახურის შემთხვევაში - კონტრაქტით განსაზღვრული პერიოდი.
- სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში - გამოძახების შემდეგ შემკრებ პუნქტში გამოცხადებიდან სარეზერვო სამსახურის დასრულებამდე პერიოდი.

სამხედრო სარეზრევო სამსახურში ჩარიცხულ პირს, სამხედრო სამსახურის წელთა ნამსახურობაში ეთვლება:

- აქტიური სარეზერვო სამსახურის შემთხვევაში - გამოძახების შემდეგ შესაბამის სამხედრო ქვედანაყოფში ყოფნის პერიოდი.
- სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში - სამხედრო სარზერვო სამსახურის გავლის პერიოდი.

14. შეუძლიათ თუ არა ქალებს რეზერვში სამსახური?

ქალებს, სურვილისა და შესაბამისი შესარჩევი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხევაში, შეუძლიათ იმსახურონ აქტიურ, ანუ ნებაყოფლობით რეზერვში.

საბჭოთა ოკუპაციის კვირეული

ლევან იზორია: საბჭოთა ოკუპაციის დღეს პატივს მივაგებთ გმირებს, რომლებმაც თავი გაწირეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციიდან 97 წელი გავიდა. 1921 წლის 18-19 თებერვლის ღამეს, საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ თბილისზე პირველი იერიში მიიტანა. დაიწყო ბრძოლა თბილისისთვის, რომელიც 25 თებერვლამდე გაგრძელდა. იუნკერები 1921 წლის 18-25 თებერვალს იალღუჯასთან, კოჯორთან და ტაბახმელასთან საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდნენ.

საბჭოთა ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და შეიარაღებული ძალების წარმომადგნელებმა საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

თავდაცვის მინისტრმა კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან მდებარე გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და იუნკერები გაიხსენა. თავდაცვის მინისტრთან ერთად, კოჯორში მემორიალთან იმყოფებოდა იუნკერ გრიგოლ ბოკუჩავას შვილი - ჰელგრიდ ფრანკე, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და საქართველოში, სწორედ, ოკუპაციის კვირეულში, იუნკერთა ხსოვნის პატივის მისაგებად ჩამოვიდა. იუნკერი გრიგოლ ბოკუჩავა 1921 წელს, კოჯორ-ტაბახმელასთან ბრძოლაში დაიჭრა და პოლონეთში გაემგზავრა. იგი 1985 წელს ემიგრაციაში, გერმანიაში გარდაიცვალა. „პატარა ვიყავი, როცა დედა გარდაიცვალა, მამამ გამზარდა. მახსოვს, როგორ ელაპარაკებოდა საკუთარ თავს ქართულად, მშობლიური ენა რომ არ დავიწყებოდა. სამწუხაროდ, მაშინ დაიღუპა, როცა საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმი იყო. დღეს ჩემი აქ ყოფნა მამაჩემის ახდენილ ოცნებას ნიშნავს“, - აღნიშნა ჰელგრიდ ფრანკემ.

25 თებერვალს საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, თავდაცვის მინისტრი 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გმირულად დაღუპული იუნკერის, შალვა ერისთავის საფლავთან ვერის ბაღში იმყოფებოდა, სადაც შეიარაღებული ძალების მთავარმა კაპელანმა, მამა დავითმა დაღუპული ქართველი მებრძოლის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. „საბჭოთა ოკუპაციის დღეს პატივს მივაგებთ გმირებს, რომლებმაც თავი გაწირეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ გმირობას ქართველები არასდროს დაივიწყებენ“, - განაცხადა ლევან იზორიამ.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 1921 წლის 18-24 თებერვალს, შალვა ერისთავი, სამხედრო სკოლის კურსანტებთან ერთად, თბილისის დაცვისთვის იბრძოდა. მან ტყვიამფრქვევამდე არსებული მანძილი სწრაფად გადაირბინა, ხიშტით განგმირა მემიზნე და სხეულით გადაეფარა ტყვიამფრქვევს, რითაც თანამებრძოლებს საშუალება მისცა კონტრშეტევა წარმატებით დაესრულებინათ და 4 სანგარი უკან დაებრუნებინათ. შალვა ერისთავი სამხედრო სკოლაში სწავლის დაწყებამდე თბილისში განთქმული ფეხბურთელი და მორბენალი იყო.

თბილისის თავდაცვაში 10 000-მდე რეგულარული არმიის ჯარისკაცი და სახალხო გვარდიელი, ასევე, იუნკერთა ერთი და ნაცვალთა სკოლის სამი ასეული მონაწილეობდა.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმია თბილისს მოადგა, იუნკერთა სამხედრო სკოლაში 183 იუნკერი ირიცხებოდა და მათგან 166 თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორში იბრძოდა. ომის დროს დაიჭრა 43, ხოლო 9 იუნკერი დაიღუპა: ალექსანდრე ახვლედიანი, პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, იოსებ და ილია ჯანდიერები.

ქართული ჯავშანჟილეტები და ჩაფხუტები ქართული ჯარისთვის

საქართველოს შეიარაღებული ძალები მთლიანად ქართული ჯავშანჟილეტებითა და ჩაფხუტებით აღიჭურვება

ქართული ჯარი სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ დამზადებული ჯავშანჟილეტებითა და ჯავშანჩაფხუტებით აღიჭურვება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, სსსტც „დელტამ“ თავდაცვის უწყებისგან უპრეცენდენტო, ხუთ მილიონ ლარამდე ღირებულების შეკვეთა მიიღო. გამოყოფილი თანხით სსსტც „დელტა“ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის ჯავშანჟილეტებსა და ჯავშანჩაფხუტებს ამზადებს. პროდუქციის ტექნიკური მონაცემები საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნებზე არის მორგებული, რაც, თავის მხრივ, პირადი შემადგენლობის ინდივიდუალური დაცვის სისტემებს თანამედროვე, უმაღლეს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანს.

2017 წლის 28 ივლისს „დელტაში“ ქართული ჯავშანჟილეტების და ჩაფხუტების უახლესი მოდიფიკაციების საჩვენებელ გამოცდაზე, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ პროდუქციის ტექნიკური და ერგონომიული მაჩვენებლები პირადად შეამოწმეს. მინისტრმა „დელტაში“ სტუმრობისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული სამხედრო ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა თავდაცვის უწყების გაცხადებული პოლიტიკაა. მან ჯავშაჟილეტებისა და ჯავშანჩაფხუტების ეფექტურობაზე ისაუბრა და ყურადღება სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრთან თანამშრომლობაზე გაამახვილა.

თანამედროვე არმიებში ჯარისკაცის ეკიპირების განუყოფელი ნაწილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებია. ცეცხლსასროლი იარაღის გარდა მებრძოლის პირადი აღჭურვილობის ორი უმთავრესი კომპონენტი სწორედ ჯავშანჟილეტი და ჩაფხუტია, მათი ძირითადი დანიშნულება ბრძოლის ველზე პირადი შემადგენლობის ნამსხვრევებისგან, ტყვიებისგან და სხვადასხვა დამაზიანებელი ელემენტებისგან დაცვაა. ჯავშანჟილეტისა თუ ჩაფხუტის ტექნიკური მონაცემებისა და ტიპის შერჩევა ამა თუ იმ ქვედანაყოფის სახეობისა და მათ წინაშე დასმული ამოცანების მიხედვით ხდება. აქედან გამომდინარე დღეისთვის მსოფლიო ბაზარზე ასეულობით სხვადასხვა მწარმოებლის მიერ დამზადებული სხვადასხვა სქემატური კონსტრუქციის ჯავშანჟილეტი და ჩაფხუტია წარმოდგენილი. საქართველოს შეიარაღებული ძალების აღჭურვისთვის თანამედროვე ქართული ჯავშანჟილეტების დაპროექტება და სერიული წარმოება სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, ქართველი სპეციალისტების მიერ ხორციელდება.

სერიულ წარმობაშია ჩაშვებული და შეიარაღებულ ძალებს მიეწოდება სამხედრო დანიშნულების ორი მოდიფიკაციის ჯავშანჟილეტი: საერთო საჯარისო გამოყენების MK-I და მრავალფუნქციური დანიშნულების MK-II. ორივე ჯავშანჟილეტის დაკომპლექტება შესაძლებელია როგორც კერამიკული ასევე ფოლადის და ტიტანის ჯავშანფილებით. წარმოებაშია ჩაშვებული ასევე სამი სხვადასხვა სქემატური კონფიგურაციის ჩაფხუტი DH MK-I , DH MK-II და DH MK-III.

თანამედროვე ტენდენციები

დღეისთვის მსოფლიოში არსებული ტენდენციები მებრძოლის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მაქსიმალურად შემსუბუქებისკენ არის მიმართული. თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ჯავშანჟილეტი უნდა იყოს მოდულური. ამ ტიპის ჟილეტი დამზადებულია ერთგვარი ლეგოს კონსტრუქციით რომლის „აწყობაც“ მებრძოლს ინდივიდუალურად, საკუთარი გემოვნებისა და მოთხოვნების შესაბამისად შეუძლია. „დელტაში“ დამზადებული MK- I და MK- II ტიპის სამხედრო დანიშნულების ჟილეტები სწორედ ასეთი სქემით არის შექმნილი. ჯავშანჟილეტის სარჩულზე თანამედროვე სტანდარტის MOLLE (Modular Lightweight Load-carrying Equipment) სისტემა არის დატანებული, რაც საშუალებას იძლევა, სურვილის მიხედვით ჯავშანჟილეტზე სხვადასხვა წერტილში დაყენდეს სამჭიდე ჯიბეები, ხელყუმბარის ჯიბეები, მჭიდჩანთები, იარაღის ბუდე, ჰიდრატორის ჩანთა და სხვა მსგავსი აქსესუარები. შედეგად შესაძლებელია, ერთი ტიპის მოდულური ჯავშანჟილეტის სხვადასხვა ვარიაციებით, მთელი შეირაღებული ძალების სხვადასხვა გვარეობები აღიჭურვოს. აღნიშნული ჯავშანჟილეტები ტექნიკური მონაცემებით, დამზადებისა და ჯავშანდაცულობის ხარისხით სრულად შეესაბამება იმ თანამედროვე სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც ის ინდივიდუალური დაცვის სისტემების მწარმოებელი გიგანტი კომპანიები ხელმძღვანელობენ, რომლებიც დასავლურ არმიებს ამარაგებენ. „დელტას“ სამკერვალოებში ასევე ათვისებულია MOLLE-ს სისტემასთან თავსებადი მჭიდჩანთები, სამედიცინო ჩანთები, ჰიდრატორის ჩანთები და სხვა აქსესუარები. ინიდივიდუალური დაცვის სისტემების ტექნიკურ დახვეწაზე, საჯავშნე მასალების მდგრადობის გაუმჯობესებასა და ახალი პერსპექტიული მოდელების შექმნაზე „დელტას“ სპეციალისტები მუდმივ რეჟიმში მუშაობენ. აქტიური მუშაობა მიმდიანრეობს ქართული ჯავშანჟილეტისა და ჩაფხუტის ექსპორტზეც. ქართული პროდუქცია ფასისა და ხარისხის მაჩვენებლიდან გამომდინარე საკმაოდ კონკურენტუნარიანია მის უცხოურ ანალოგებთან შედარებით.

2014 წელსვე „დელტას“ დამზადებული MK-II ტიპის ჯავშანჟილეტებით აღჭურვილი ქართული სამშვიდობო კონტინგენტი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრა. 2015 წლის მარტში კი ავღანეთში, ქართველი სამხედროები პირველად მთლიანად ქართული ჯავშანჟილეტებით და ჩაფხუტებით აღჭურვილები გაემგზავრნენ. ეს იყო MK-I ტიპის საერთო საჯარისო ჟილეტი და DH MK-1 ტიპის ჩაფხუტები.

2016-2017 წლებში „დელტაში“ საჯავშნე მასალების კვლევითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობდა. შედეგად კი მომავალში, ქართული შეიარაღებული ძალები სწორედ გაუმჯობესებული ტექნიკური მონაცემების მქონე ჯავშანჟილეტებითა და ჩაფხუთებით აღიჭურვება.

„ვემსახურებით საქართველოს!“

წვევამდელი გიორგი ბაშარული სულ მალე სამხედრო სავალდებულო სამსახურს დაასრულებს. მას ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) ვესტუმრეთ და მის შესახებ პორტრეტული ნარკვევი მოვამზადეთ.

„მე, საქართველოს მოქალაქე, შევდივარ რა საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, ვფიცავ, პირნათლად მოვიხადო მხედრული ვალი საქართველოს წინაშე...“ - ამ სიტყვებით დაიწყო 19 წლის გიორგი ბაშარულის სამხედრო კარიერაც. ახალწვეული შეიარაღებულ ძალებში მოხვედრაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. ძმა და ნათესავები, რომლებსაც სამხედრო კარიერა ჰქონდათ, მისთვის მისაბაძ მაგალითებად იქცნენ. კითხვაზე - როგორ ხედავ საკუთარ თავს 5 წლის შემდეგ? გიორგი დაუფიქრებლად გვპასუხობს - „სერჟანტი გავხდები, სამხედრო გამოცდილებას მივიღებ და, ალბათ, წვევამდელებთან მექნება ურთიერთობა“.

2017 წლის 30 აპრილს - საქართველოს შეირაღებული ძალების დღეს IV მექანიზებულ ბრიგადაში ფიცი 263 წვევამდელმა დადო, მათ შორის, გიორგი ბაშარულიც იყო. ახალწვეულები სხვადასხვა ქვედანაყოფში ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით გადანაწილდნენ. გიორგი სამხედრო სავალდებულო სამსახურს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის ტერიტორიაზე გადის. ფიცის დადებამდე რეკრუტებმა საბრძოლო მომზადება უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში გაიარეს. მათ, საკონტრაქტო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების მსგავსად, სრულყოფილი სამთვიანი სამხედრო მომზადება ჩაუტარდათ. ალგეთის სამხედრო ბაზაზე ისინი საცეცხლე მომზადებას, სადისციპლინო წესდებას, ტაქტიკას და პირველად სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებულ უნარ-ჩვევებს დაეუფლნენ.

წვევამდელები სამხედრო სავალდებულო სამსახურს ახალი სისტემით გადიან. ქვედანაყოფებში რეკრუტები დროს, თეორიულის პარალელურად, პრაქტიკულ სწავლებასაც უთმობენ. ჯარისკაცი გიორგი გვეუბნება, რომ გამოცდილი ოფიცრები მათ სამხედრო განაწესს, ტაქტიკურ გადაადგილებებს, უსაფრთხოების, ასევე იარაღთან მოპყრობის წესებს აცნობენ. რესპონდენტი საუბრისას განსაკუთრებით აღნიშნავს სამხედროებთან ურთიერთობას, რომლებიც, მისივე თქმით, საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ, რომ კიდევ უფრო დაინტერესდნენ იმ სფეროთი, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახალწვეული ქვეყნის დაცვისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობაზე საუბრობს და მხედრული ფიციდან ფრაზას - „ვფიცავ, მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისთვის“ - იშველიებს.

„საქართველოს მოქალაქემ სამხედრო სავალდებულო სამსახური აუცილებლად უნდა გაიაროს, საკუთარ ქვეყანას გამოადგეს... თუ სამხედრო კარიერის გაგრძელებას არ აპირებს, დისციპლინას მიეჩვევა... ქვეყნისა და საკუთარი ოჯახის დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს დაეუფლება“, – გვეუბნება ჯარისკაცი. წვევამდელი სამხედრო კარიერის გაგრძელებას საკონტრაქტო სამსახურში აპირებს. კონტრაქტის გაფორმების მსურველმა ჯარისკაცმა იცის, რომ საბრძოლო მომზადების კურსის გავლა, სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ, 6 თვის განმავლობაში, ხელახლა აღარ მოუწევს.

ღიმილით იხსენებს იმ დროს, როდესაც დილით ადრე ადგომა და მწყობრში სიარული წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. ჯარისკაცის დღე დილის 6 საათზე იწყება. პირადი ჰიგიენისთვის 30 წუთი აქვთ გამოყოფილი, 7 საათისთვის საუზმობენ. საუზმის შემდეგ ახალწვეულები JTEC-ის სამწყობრო მოედანზე ეწყობიან, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი სრულდება... 9 საათისთვის ჯარისკაცები თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობაზე ნაწილდებიან... დღის წესრიგი სამხედრო დისციპლინით ვითარდება...

გიორგი ბაშარული სავალდებულო სამსახურის ახალი სისტემით გათვალისწინებული გაუმჯობესებული სოციალური პაკეტით სარგებლობს. გვეუბნება, რომ ყოველთვიურად ჯარისკაცის ხელფასს მეგობრებთან ერთად ხარჯავს. რეკრუტის თქმით, ორი დღე მონატრებულ მშობლებთან და ახლობლებთან საურთიერთოდ დიდი დრო არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია.

სამხედრო ნაწილში გიორგის მეგობრებსაც გავესაუბრეთ. ახალწვეულები, ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, ფიქრობენ, რომ ქვეყნისთვის ერთი წლის განმავლობაში სამსახური ყველას ვალია. სამხედრო კარიერას რამდენიმე მათგანი გააგრძელებს, მაგრამ ქართულ ჯარში მიღებული გამოცდილება ქვეყნის სამსახურში გამოადგებათ. ჩვენი შეხვედრა სამხედრო ნაწილში, სწორედ, ამ სიტყვებით დასრულდა - „ვემსახურებით საქართველოს!“

ოჯახი სამშობლოს სამსახურში

მესამე ქვეით ბრიგადაში დღის მოწყობაა. ბრიგადის პირადი შემადგენლობა სამწყობრო მოედანზეა შეკრებილი. რამდენიმე დღის წინ საწყისი საბრძოლო მომზადების კურსდამთავრებულებმა სამხედრო ფიცი დადეს... ეს მათი პირველი დღეა ქვეით ბრიგადაში. ლევან მჭედლიშვილი არტილერისტებთან ერთად, ნინო მეგრელიშვილი კი, კავშირგაბმულობის სპეციალისტებთან ერთად დგას. თუმცა, სამხედრო სამსახურში ჩარიცხვამდე ყველაფერი ასე დაიწყო...

ნინი და ლევანი 13 წლის იყვნენ, როდესაც ერთმანეთი გაიცნეს. ზესტაფონის ერთ-ერთ სკოლაში დაწყებული მათი ნაცნობობა მალე სიყვარულში გადაიზარდა. 15 წლის ასაკში დაოჯახდნენ და პატარა ნიკოლოზი შეეძინათ.

მეგობრები და ახლობლები, ალბათ, ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ცოლ-ქმარი, დაოჯახებიდან სამი წლის შემდეგ, სამხედრო ფორმას მოირგებდა და ქვეყნის სამსახურში ჩადგებოდა.

ლევან მჭედლიძე: სამხედრო საქმე არ იყო ჩემთვის უცხო. ჩემი ბევრი ნათესავი სამხედრო მოსამსახურეა და მეც ფორმის ჩაცმის სურვილი ბავშვობიდან მქონდა. როდესაც გავიგე, რომ შეიარაღებულ ძალებში საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი იწყებოდა, ნინის ვუთხარი, რომ ჯარში წასვლა მინდოდა. თბილისში შევავსე განაცხადი. როცა ზესტაფონში დავბრუნდი, ჯარში წასვლის სურვილი ნინიმაც გამოთქვა. თავიდან მეგონა ხუმრობდა, მაგრამ მისი სურვილი ისეთი მტკიცე იყო, რომ დამარწმუნა... კარგი, რატომაც არა-მეთქი...

ნინი მეგრელიშვილი: ჯარში წასვლა მტკიცედ გადავწყვიტეთ, თუმცა ამის დაჯერება ჩვენს მეგობრებსა და ახლობლებს თავდაპირველად გაუჭირდათ. ფიქრობდნენ, რომ ფიზიკურ დატვირთვას ვერ გავუძლებდით, თუმცა ყველაზე რთული, ჩვენი შვილის, პატარა ნიკოლოზის სახლში დატოვება აღმოჩნდა.

ლევანი და ნინი საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზეც ერთად ჩაირიცხნენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ალგეთის საწვრთნელ ბაზაზე საფუძვლიანი სამხედრო მომზადება, 10 კვირის განმავლობაში გაიარა. თავიდან იყო ე.წ კარანტინი, როდესაც ოჯახის წევრების მონახულება არ შეეძლოთ. წვრთნები დღე და ღამე, კარგ და ცუდ ამინდში ერთნაირი ინტენსივობით მიმდინარეობდა. სამწყობრო, ტაქტიკური, საცეცხლე, სამედიცინო და ფიზიკური მომზადება, ტოპოგრაფია და თეორიული კურსები - ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის სერჟანტები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა რეკრუტებს სამხედრო საქმე საფუძვლიანად შეესწავლათ და პროფესიონალ სამხედრო მოსამსახურეებად ჩამოყალიბებულიყვნენ.

ლევან მჭედლიძე: საწყისი საბრძოლო მომზადების პროგრამა არ იყო მარტივი. თითოეულ რეკრუტს, მკაცრ პირობებში, ფიზიკური მომზადების რთული კურსების გავლა უწევდა. მეშინოდა, რომ ნინი ამ პროცესს ვერ გაუძლებდა. ვცდილობდი, გამემხნევებინა. სირთულეების მიუხედავად, მე და ნინიმ მომზადება ერთად დავასრულეთ. ძალიან ამაყი ვიყავი...

ნინი მეგრელიშვილი: მინდოდა ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ შემიძლია კარგი სამხედრო მოსამსახურე გავხდე და ღირსეულად ვემსახურო სამშობლოს. **დიახ, მომზადების პროგრამა არ იყო მარტივი. მარტივი არც ის იყო, რომ მცირეწლოვანი შვილი დამეტოვებინა, მაგრამ როდესაც სურვილი და მიზანი გაქვს, შეუძლებელი არაფერია.**

ათკვირიანი საწყისი საბრძოლო მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა წყვილი ქუთაისში, III ქვეით ბრიგადაში ჩაირიცხა. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ნინი და ლევანი ზესტაფონში ბრუნდებიან და თავისუფალ დროს პატარა ნიკოლოზთან ატარებენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ მომავალი სამხედრო სამსახურს დაუკავშირონ.

ნინი მეგრელიშვილი: სამშობლოს დაცვა ყველა მოქალაქის ვალია. ამაყი ვარ, რომ სამხედრო ფორმა მაცვია და საქართველოს ვემსახურები. **შეიარაღებული ძალები ჩვენი მეორე ოჯახია. დარწმუნებული ვარ, როდესაც ჩვენი შვილი გაიზრდება, იამაყებს მშობლებით, რომლებმაც ფორმა ერთად ჩაიცვეს და ქვეყნის სამსახურში ჩადგნენ.**

გახდი იუნკერი!

ეროვნული თავდაცვის აკადემია - მაღალი დონის სამხედრო და სამოქალაქო განათლება საქართველოში

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმთავრეს პრიორიტეტს განათლებული, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალისა და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება წარმოადგენს. შესაბამისად, აკადემიის ხელმძღვანელობა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და სამხედრო ინსტრუქტორები აქტიურად მუშაობენ, რათა აკადემიაში შექმნან გარემო, რომელიც იუნკერებსა და მსმენელებს მაღალი დონის სამხედრო და სამოქალაქო განათლების მიღების საშუალებას მისცემს.

იუნკერმა თენგიზ ლიჩელმა ყურადღება ეროვნული თავდაცვის აკადემიაზე, სწორედ, ამ ღირებულებებისა და ფასეულობების გამო შეაჩერა. ჯერ კიდევ სკოლის დამამთავრებელ კლასში აქტიურად ფიქრობდა, თუ სად შეიძლებოდა გაეგრძელებინა სწავლა ისე, რომ უარი არ ეთქვა ბავშვობის ოცნებაზე - ყოფილიყო მაქსიმალურად ახლოს სამხედრო თემატიკასთან და თავისი საქმით ემსახურა საქართველოსთვის. „როდესაც გავიგე ეროვნული თავდაცვის აკადემიის შესახებ, მაშინვე გადავწყვიტე ჩემი მომავალი აკადემიაში გამეგრძელებინა. აკადემია არის დაწესებულება, რომელიც მაძლევს საშუალებას, ვიყო სამხედრო მოსამსახურე, ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ამავდროულად, მივიღო ხარისხიანი და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი განათლება“.

2017 წელი ეროვნული თავდაცვის აკადემიისთვის საკმაოდ დატვირთული და საინტერესო წელი იყო. აღნიშნულ პერიოდში აკადემიაში ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა - დაიხვეწა არსებული სასწავლო პროგრამები, დაემატა ახალი მიმართულებები, აკადემიის სტრუქტურასა და სასწავლო პროგრამებში გაიზარდა სამხედრო კომპონენტი, ამაღლდა სამხედრო დისციპლინა.

შეიარაღებულ ძალებში არსებული მოთხოვნებისა და აკადემიის პრიორიტეტების გათვალისწინებით, 2017 წელს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურზე თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამა ამოქმედდა.

იუნკერი თენგიზ ლიჩელი აღნიშნავს, რომ თავდაცვის საბაკალავრო პროგრამა იუნკერებს საშუალებას აძლევს მიიღონ კომპლექსური ცოდნა გლობალურ და ეროვნულ დონეზე, მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე: „ჩვენ ვიღებთ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ“.

იუნკერი თენგიზ ლიჩელი კმაყოფილია თავისი არჩევანით. ფიქრობს, რომ აკადემია აძლევს ყველაფერს, რაც წარმატებისა და წინსვლისთვის სჭირდება. „მზად ვარ, ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ამავდროულად მივიღო ხარისხიანი, თანამედროვე, გამოწვევების შესაბამისი განათლება“. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის სურვილის შემთხვევაში აბიტურიენტებს აკადემიის შიდა ტურებთან ერთად, ასევე მოუწევთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ზოგად უნარებში, უცხო ენაში, ქართულ ენასა და ისტორიაში. ამას გარდა, ბაკალავრიატის საფეხურზე დაიგეგმა ახალი, მეოთხე პროგრამის - ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის დამატება.

2017 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯშიც. კოლეჯში თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ამოქმედდა, რომელსაც ამ ეტაპზე საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. იმისათვის, რომ ქართული სამხედრო განათლების სისტემა თანამედროვე სტანდარტებს არ ჩამორჩეს, 2017 წელს ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და შემდგომ, ხელშეკრულება გააფორმა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფოს ინსტიტუტთან (RUSI). შესაბამისად, 2018 წლიდან ბრიტანელი ექსპერტები ომის ტრანსფორმაციის - ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომების კურსს გაუძღვებიან. გასულ წელს კიბერუსაფრთხოების ბიუროსთან კოორდინაციით კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება დაიწყო. სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში პოლკოვნიკებისა და ვიცე-პოლკოვნიკებისთვის ასევე, დაიგეგმა სტრატეგიული დონის სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედება, რომელიც სამომავლოდ გახდება ომის კოლეჯის ეკვივალენტი სამხედრო სასწავლებელი.

2017 წელს ეროვნული თავდაცვის აკადემია 10 უნივერსიტეტთან ერთად ჩაერთო ერთ-ერთ საგრანტო პროექტში „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“. პროექტის მთავარ მიზანს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით სწავლა-სწავლებისა და შეფასების ხარისხის განვითარება წარმოადგენს. საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით ეროვნული თავდაცვის აკადემია აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას, როგორც უცხოეთის წამყვან სამხედრო სასწავლებლებთან, ასევე ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამასთან (DEEP). პროგრამის ფარგლებში 2017 წელს აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებისა და სამხედრო ინსტრუქტორების გადამზადება მოხდა.

ARMY CARD - სოციალური პროექტი შეიარაღებული ძალებისთვის

ლადო ტატუნაშვილი სტუდენტია. ის შავი ზღვის უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის პროფესიას ეუფლება. ლადო ჯარისკაცის შვილია. ის ერთ-ერთი მათგანია, ვინც თავდაცვის სამინისტროს სოციალური პროექტით ARMY CARD - ის ფარგლებში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შედავათით სარგებლობს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც თავდაცვის სამინისტროს პროექტს ARMY CARD -ს შეუერთდა. პროექტის ფარგლებში, 50%-იანი სასწავლო გრანტით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 22 სტუდენტი სარგებლობს. გაცემული შიდა გრანტი 45 000 ლარზე მეტია.

„საუნივერსიტეტო ცხოვრებას მხოლოდ აკადემიურ ჭრილში არ განვიხილავთ. მიგვაჩნია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ყველა იმ სოციალურ პროექტში ჩართვა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის პატივია, გვერდით დავუდგეთ შეიარაღებული ძალების წევრებსა და მათ ოჯახებს, ხელი შევუწყოთ სამხედროების შვილებს განათლების მიღებაში და ამით ერთგვარი მადლობა გადავუხადოთ მათ ქვეყნის ერთგული სამსახურისთვის“ - განაცხადა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა ილიას ჩილოღლუმ და განმარტა, რომ უნივერსიტეტი ქვეყნის სამსახურში მყოფი ადამიანების თანადგომას მომავალშიც გააგრძელებს.

„ძალიან ამაყი ვარ ჩემი მშობლის საქმიანობის გამო. ვფიქრობ, აღნიშნული პროექტი სასიხარულო და წამახალისებელია“, - აღნიშნავს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი ლადო ტატუნაშვილი.

ARMY CAR -მა საზოგადოება, კერძოდ კი ბიზნეს სექტორი ერთი იდეის გარშემო გააერთიანა - **„მადლობა სამსახურისთვის“** იმ ჯარისკაცებს, რომლებიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, სამშვიდობო მისიებში, ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას ემსახურებიან.

ექსკლუზიური სახელფასო ბარათი - ARMY CARD-ი, რომელიც შეიარაღებული ძალებისთვის საქართველოს ბანკის დახმარებით შეიქმნა, მის მფლობელებს მრავალი ტიპის დამატებით სარგებელს სთავაზობს. კვების ობიექტები, სუპერმარკეტები, სააფთიაქო ქსელი, ბენზინგასამართი სადგურები, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს განსაკუთრებულ პირობებსა და ფასდაკლებებს სთავაზობენ.

ARMY CARD-ით ასევე, შესაძლებელია საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდაც. ბარათის მფლობელს ყოველი გადახდისას გარკვეული თანხა ე.წ. Cashback – ის სახით უბრუნდება. მომხმარებელი „საქართველოს ბანკისგან“ თანხის დაბრუნების შესახებ შეტყობინებას იღებს.

საქართველოს ბანკი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც აღნიშნულ პროექტში სრული ენთუზიაზმით ჩაერთო. „საქართველოს ბანკისთვის“ მნიშვნელოვანია მხარი დავუჭიროთ ქართულ ჯარს. სწორედ ამიტომ, საქართველოს ბანკი საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს მათ საჭიროებებზე მორგებულ პროდუქტებსა და მომსახურებას სთავაზობს. მინდა, წარმატება ვუსურვო თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნავს“, - განაცხადა საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა კახა კიკნაველიძემ.

პროექტში ჩართულმა კომპანიებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ქვეყნის თავდაცვა თითოეული მოქალაქის საპატიო ვალია და მათი მონაწილეობა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ აფასებს საზოგადოება სამხედრო მოსამსახურეების წვლილს ქვეყნის უსაფრთხოების საქმეში.

ARMY CARD მუდმივად განახლებადი სოციალური პროექტია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი, ინტენსიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს პროექტში ჩართვის მსურველ სხვა კომპანიებთან. უწყების მიზანია, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი გამოჩნდეს და სამხედრო - სამოქალაქო თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდეს.

გთავაზობთ პროექტ ARMY CARD-ის პარტნიორი კომპანიების ჩამონათვალს:

- სტომატოლოგიური კლინიკა Apple Dent;
- სპორტულ-მოსამზადებელი ცენტრი „ჩემპიონთა აკადემია“ 10% Cashback;
- ტანსაცმლის მაღაზია Collezione - 10% Cashback;
- სახლის აქსესუარების მაღაზია English Home - 10% Cashback;
- სამშენებლო ჰიპერმარკეტი „დომინო“ - 5% Cashback;
- ავეჯის მაღაზია „ემბავუდი“- 5% Cashback;
- სტომატოლოგიური კლინიკა „ალგანი დენტი“;
  - o 20% Cashback + 30% ფასდაკლება ქირურგიულ და თერაპიულ მომსახურებაზე;
  - o 20% Cashback სხვა პროცედურებზე.
- კლინიკა „ხერხემალი“ – 10% Cashback (გარდა ერთჯერადი პროცედურებისა);
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 50% ფასდაკლება;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრი - 50% Cashback (+25% ფასდაკლება განმეორებით ტრენინგზე);
- წიგნების მაღაზიათა ქსელი „ლიბრა“ - 10% Cashback;
- მთაწმინდის პარკი - 10% Cashback;
- მრავალფუნქციური კომპლექსი Gino Paradise - 15% Cashback;
- სათამაშოების მაღაზიათა ქსელი „პეპელა“- 10% Cashback;
- სათამაშოების მაღაზიათა ქსელი „ჯიტა“- 10% Cashback;
- იტალიური ქიმწმენდა „ბონჯორნო“- 10% Cashback.

ლევან იზორიამ ესტონეთის თავდაცვის მინისტრს უმასპინძლა

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესტონეთის თავდაცვის მინისტრი იური ლუიკი ესტუმრა. ესტონელ კოლეგას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ უმასპინძლა.

ესტონეთისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნების ფონზე დახვედრის ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ, თავდაცვის მინისტრებმა შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში გამართეს.

ლევან იზორიამ კოლეგას ესტონეთის დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილე მიულოცა და მრავალწლიანი პოლიტიკური თუ პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გზაზე ესტონეთის მხარდაჭერა. შეხვედრაზე მხარეებმა ესტონეთსა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა სამხედრო განათლების, ეროვნული გვარდიისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ტოტალური თავდაცვის კუთხით ესტონეთის გამოცდილების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა საქართველოს თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმები დადებითად შეაფასა. იური ლუიკის განცხადებით, რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში ესტონეთსაც საქართველოს მსგავსი თავდაცვის მოდელი აქვს პროფესიულ და სარეზერვო სამხედრო სამსახურთან მიმართებაში.

შეხვედრის შემდეგ, იური ლიუკმა და ლევან იზორიამ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მანამდე კი, მინისტრებმა ხელი თავდაცვის სფეროში საქართველოსა და ესტონეთს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას მოაწერეს. როგორც ლევან იზორიამ აღნიშნა, თანამშრომლობის გეგმის მიხედვით ესტონეთი სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალების რეფორმირების პროცესში აქტიურად ჩაერთვება.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა გმირთა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და კიბერუსაფრთხოების ბიუროში შეხვედრა გამართა.



თავდაცვის სამინისტრომ ახალი სპეც-ტექნიკა შეისყიდა

თავდაცვის სამინისტრომ ლოგისტიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური წყალმზიდები, ავტობუსები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანები „ამბულანსები“ და მიკროავტობუსები შეიძინა. ახალი სპეც-ტექნიკა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი ბუთხუზმა ლოგისტიკური სარდლობის ბაზაზე დაათვალიერა. მინისტრის მოადგილეს ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალმა, პოლკოვნიკმა იოსებ ლოლაძემ ტექნიკის მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. ტექნიკა

საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაბამის ქვედანაყოფებსა და თავდაცვის სამინისტროს, საჭიროებებიდან გამომდინარე, მოემსახურება.

თავდაცვის სამინისტრომ 2018 წელი ლოგისტიკის წლად გამოაცხადა. რეფორმის მიზანი შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეცენტრალიზება, ავტონომიურობა, მობილურობა და შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის მართვისა და კონტროლის გამარტივებაა.

2018 წელი ლოგისტიკის წლად გამოცხადდა

თავდაცვის სამინისტრომ 2018 წელი უწყებაში ლოგისტიკის წლად გამოაცხადა. გადაწყვეტილება თავდაცვის მინისტრმა შეკრებილ სამხედროებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს „არმიჰოლში“ გააცნო. ლევან იზორიას განცხადებით, რეფორმის მიზანი შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეცენტრალიზება, ავტონომიურობა, მობილურობა და შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის მართვისა და კონტროლის გამარტივებაა. თავდაცვის მინისტრის თქმით, თითოეული ქვედანაყოფის ხარჯებისა და რესურსების მოდელირების მიზნით ავტომატიზებული სისტემები დაინერგება, რაც უწყებას რესურსების უკეთ მართვის შესაძლებლობას მისცემს. რეფორმის ფარგლებში, ასევე, მარაგების ანალიზის, მხარდაჭერის შესაძლებლობებისა და 2018 წლის ლოგისტიკის სამოქმედო გეგმა შემუშავდა.

პრეზენტაციას საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები, ასევე, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეები დაესწრნენ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გარდა, „შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის სისტემების განვითარების პრეზენტაციაზე“ სიტყვით საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია, მისი პირველი მოადგილე პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა, კუბიკის (აშშ-ის თავდაცვის სისტემის გამოყენებითი ჯგუფი) პროგრამის მენეჯერი გრეგორი კანატა და აშშ-ის ევროპული სარდლობის სტრატეგიული ლოგისტიკის დირექტორის მოადგილე, კაპიტანი ბრაიან როსა გამოვიდნენ.

საჩხერის სამთო მომზადების სკოლა 12 წლისაა

პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლას დაარსებიდან 12 წელი შეუსრულდა. პირად შემადგენლობას სკოლის დაბადების დღე საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და სამხედრო განათლების სარდალმა, პოლკოვნიკმა მალხაზ მაკარაძემ მიულოცა. მან სამხედრო მოსამსახურეებს წარმატებები უსურვა და სამსახურისთვის მადლობა გამოუცხადა.

სამთო მომზადების სკოლის იუბილისადმი მიძღვნილ ცერემონიალს საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი მხეიძე და სულხან მახათაძე დაესწრნენ. სამთო სკოლის პირად შემადგენლობას სკოლის იუბილე ქ. საჩხერის მერმა და საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარემაც მიულოცეს.
ოფიციალური ღონისძიების დასასრულს დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. უწყებრივი მედლებით ხუთი, ხოლო სამსახურებრივი-საშტატო იარაღით კი ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა.

ბაზაზე, სადაც ამჟამად საჩხერის სამთო მომზადების სკოლა მდებარეობს, 1991 წლის 1 ივლისს მე-16 სამთო ბატალიონი დაარსდა. მის დაარსებას საფუძველი საქართველოს ეროვნულმა გმირმა ბესიკ ქუთათელაძემ ჩაუყარა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის, 2014 წლის 29 მაისის 738 ბრძანების საფუძველზე, სკოლას პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის სახელი მიენიჭა.

საქართველოსა და საფრანგეთს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულების მიხედვით, საფრანგეთის სამთო მომზადების ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლაში სასწავლო კურსების პროგრამები შემუშავდა. 2010 წელს ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია, რომლის თანახმად საჩხერის სამთო მომზადების სკოლას ნატო/პარტნიორობა მშვიდობისთვის მომზადების და განათლების ცენტრის სტატუსი მიენიჭა. ამჟამად საჩხერის სამთო მომზადების სკოლა მსმენელებს სთავაზობს საერთაშორისო კურსების ფართო სპექტრს, რომელიც შექმნილია ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებისთვის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ორმხრივი შეხვედრები მიუნხენში



„ჩვენი თანამშრომლობა როგორც ნატოს წევრ, ასევე პარტნიორ ქვეყნებთან უფრო მაღალ ხარისხში იქნება აყვანილი, რაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, თითოეული მოქალაქის დაცულობას და კეთილდღეობას შეუწყობს ხელს“, - ამ სიტყვებით შეაჯამა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ გერმანელ და ნორვეგიელ კოლეგებთან - ურსულა ფონ დე ლეიენთან და ფრანკ ბაკე-იენსენთან, ასევე გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების სახელმწიფო მინისტრთან მარკ ლანკესტერთან ორმხრივი შეხვედრები, რომელიც მიუნხენში უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გაიმართა. ორმხრივ შეხვედრებზე განხილვის მთავარი თემა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ახალი ასპექტები იყო. როგორც ლევან იზორიამ ნორვეგიელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, საქართველოს მონაწილეობა სკანდინავია-ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოების დისკუსიებში გააქტიურდება, მრავალეროვნული წვრთნებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით კი, ქართული მხარე ახლო მომავალში ნორვეგიას ესტუმრება. გერმანიის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება უსაფრთხოების საკითხებზე გამახვილდა. „გერმანია ბევრს გააკეთებს, რომ საქართველოში უსაფრთხოების განმტკიცებას შეუწყოს ხელი. ამ მიმართულებით გერმანიამ უკვე გამოყო რამდენიმე მილიონი და მომავალშიც გააგრძელებს ამ მიმართულებით მხარდაჭერას“, - აღნიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია აშშ-ის თავდაცვის მდივანს შეხვდნენ. ჯეიმს მატისის განცხადებით ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას, როგორც თავდაცვისუნარიანობის ამაღლების, ისე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში.

სამი დღის განმავლობაში, მიუნხენში შეკრებილი მსოფლიო პოლიტიკური ლიდერები და უსაფრთხოების სფეროს ექსპერტები ევროპული და გლობალური უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებს განიხილავენ. 2018 წლის საერთაშორისო ფორუმის დღის წესრიგის მთავარი თემაა ევროკავშირის, როგორც გლობალური მოთამაშის როლი და მისი ურთიერთობები რუსეთთან და აშშ-სთან.

ჯარისკაცის მრწამსი

მე ვარ საქართველოს ჯარისკაცი!

ერთგულად ვემსახურები ჩემს სამშობლოსა და ჩემს ხალხს!

პატივს ვცემ ჩვენი ქვეყნის წარსულს, ვიცავ აწმყოს და ვიბრძვი უკეთესი მომავლისთვის!

საქართველოს სახელით, ვიცავ მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებას!

მეამაყება, რომ ვარ ქართული ჯარის რიგებში და ვიცავ მის ღირებულებებს!

ყველგან და ყოველთვის დავიცავ საქართველოს დროშას და ღირსებით ვატარებ მუნდირს!

პასუხისმგებლობით ვასრულებ დაკისრებულ მოვალეობას!

არასოდეს მივატოვებ ჩემს თანამებძოლებს ომსა თუ მშვიდობაში!

პატივს მივაგებ გმირებს და ქედს ვიხრი მათი თავდადების წინაშე!

რწმენა გამარჯვებისა, ჩემი გზამკვლევია ბრძოლის ველზე!

მე ვარ იქ, სადაც ჩემს სამშობლოს ვჭირდები!

საქართველოსთვის!